პრაქტიკული დავალება

დღე 1

დღეს ტომის მოსახლეობის სტრუქტურა დალაგდა. უფროსები დაგეგმავენ სამუშაოებს, ახალგაზრდები კი დაიწყებენ ნადირობას. მე ჯერ ახალი ვარ და სოციალიზაციის პროცესში ვარ. მეხმარებიან, რომ გავიგო, როგორ უნდა დავამკვიდრო ამ ტომში ჩემი ადგილი. მოსახლეობის დინამიკა ხშირად იცვლება, რადგან ადამიანები მიდიან და ბრუნდებიან, მაგრამ ჩვენ მაინც ვცდილობთ, რომ ამ ცვლილებებს თავი ავარიდოთ.

დღე 2

დღეს ვისაუბრეთ დემოგრაფიული პოლიტიკის მნიშვნელობაზე. ჩვენი ტომი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საკვების უზრუნველყოფაზე. მათი ძირითადი მიზანია, რომ თავიდან აიცილონ მიგრაციის უარყოფითი შედეგები, მოსახლეობის გადაჭარბებული ზრდა და ტყეზე ზემოქმედება. მიუხედავად ამისა, ზოგჯერ ვაწყდებით სოციალურ მობილობას, როცა ადამიანები ცდილობენ შეცვალონ თავიანთი შესაძლებლობები და ცხოვრების პირობები

დღე 3

დღეს სახლში იყო ფანტასტიკური სუნი – დედა დაჭმელს აკეთებდა. სახლში ყოველთვის ერთად ვჭამთ, მამა, დედა და ორი ძმა. მამა მთელ დღეს ტყეში ატარებს, მაგრამ როცა შინ დაბრუნდება, ყოველთვის გვიამბობს ნადირობის ისტორიებს. ძმები მუდამ თამაშობენ და ბევრს იცინიან. დედა ხან საჭმელს ამზადებს, ხანაც ჩემ ძმებს უვლის. როცა დედა რაღაცას ვეკითხები, ხუმრობით მეპასუხება. სახლში ყოველთვის მყუდრო ატმოსფერო გვაქვს, რადგან ერთად ვართ.

დღე 4

დღეს ბაბუა მოვიდა, და მამასთან და დედასთან ერთად რიტუალები განვიხილეთ. ბაბუა ძალიან ჭკვიანი კაცია, ხშირად გვიყვება ისტორიებს, თუ როგორ ეხმარება ტომი ერთმანეთს. დედა თითქმის სულ სახლშია, მაგრამ მამას ყოველთვის მხარში უდგას. ძმებთან ერთად სამუშაოდ ვიყავი, სამუშაოები რთულია. როდესაც ერთად ვართ, ყოველთვის სხვა ძალა გვაქვს. მეც მინდა, რომ მამა გავხდე, მაგრამ ამისათვის იმაზე ბევრად მეტი უნდა ვისწავლო ვიდრე ვიცი.

დღე 5

დღეს ტომში დიდი დღესასწაული იყო — ერთ ბიჭს ხარებზე ხტომით უნდა დაემტკიცებინა რომ უკვე კაცია. მთელი მოსახლეობა შეიკრიბა. დედაჩემი ამბობს, რომ ეს სოციალიზაციის ნაწილია და ამის გარეშე ვერავინ იქორწინებს.

ბიჭი აშკარად ნერვიულობდა, მაგრამ გადაახტა ყველა ხარს და ყველამ ძალიან გაიხარა. მე განსაკუთრებით ის მომეწონა, რომ მთელი ტომი გულით გულშემატკივრობდა.

დავფიქრდი: ნეტა, როცა ჩემი დრო მოვა, მეც შევძლებ? ალბათ კი... მაგრამ ცოტა მეშინია. მიუხედავად ამისა, მომწონს, რომ ასეთი ტრადიციები გვაქვს — ეს გვაერთიანებს და გვახსენებს, ვინ ვართ.

დასკვნა:

ჩანაწერებიდან ჩანს, რომ ტომის ცხოვრება ერთდროულად ეფუძნება მკვეთრად დადგენილ წესებს და ღირებულებებს, მაგრამ ასევე ღიაა ცვლილებებისა და ახალი თაობის განვითარებისკენ. ავტორის პირადი ამბავი გვიჩვენებს სოციალიზაციის პროცესს, კულტურისა და ოჯახური სიყვარულის მნიშვნელობას. მიუხედავად გამოწვევებისა, ტრადიციები და ტომის ერთიანობა აძლიერებს ყველას, ვინც ამ საზოგადოების ნაწილი ხდება.